სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

16. 12. 2013 № 17/8.

ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის
არჩევის შესახებ

ბრძანება

„დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოს შესახებ“ დებულების შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნები დაინიშნოს 2014 წლის 30 იანვარს, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს სხდომაზე, პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით.

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვს ფაკულტეტის სრულ ან ასოცირებულ პროფესორს.

3. კანდიდატთა რეგისტრაცია იწარმოებს 2014 წლის 16-23 იანვარს, 10.00 საათიდან 16.00 საათამდე სტუ-ის მე-6 კორპ., 303ა ოთახში.

4. კანდიდატმა რეგისტრაციისათვის განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს:

ა. პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
ბ. მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ;
გ. განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლი;
დ. აკადემიური/სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის/დოკუმენტების ასლი;
ე. ცნობა აკადემიური თანამდებობის დაკავების შესახებ.

5. ასარჩევ კანდიდატთა რეგისტრაცია განახორციელოს ფაკულტეტის მთავარმა სპეციალისტმა მ. ხარაულმა.

6. ფაკულტეტის მთავარმა სპეციალისტმა მ. ხარაულმა უზრუნველყოს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების ჩატარების შესახებ განცხადების გამოკვრა ფაკულტეტის თვალსაჩინო ადგილზე და განთავსება ფაკულტეტის ვებგვერდზე.

7. ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის არჩევნების ორგანიზაციას განვახორციელებ პირადად.

ფაკულტეტის დეკანი ზ. წვერაიძე